

2022 წლის ფინანსური საქმიანობის

ანგარიში

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიში წარმოადგენს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ფინანსური ასპექტის გათვალისწინებით. სკოლის 2022 წლის ბიუჯეტის ძირითად შემოსავლებს წარმოადგენს მოსწავლის ვაუჩერული დაფინანსება, სქემით განსაზღვრული სტატუსის მქონე პედაგოგების დანამატი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დაფინანსება, ბანკის საპროცენტო სარგებელი, სკოლის სამედიცინო კაბინეტში დასაქმებული პირის თანამდებობრივი სარგოს პროგრამული დაფინანსება და ქვეპროგრამის COVID-19 პანდემიის პირობებში საჯარო სკოლების მხარდაჭერის ფარგლებში მასწავლებლის დანამატი, შემოსავლები საკუთრებიდან (იჯარა) და ფეხბურთის წრის მომსახურების რეალიზაცია.

სკოლის ფინანსური მართვა მიმდინარეობს 2021 წლის 29 დეკემბერს სამეურვეო საბჭოს (ოქმი N11 29.12.2021წ) სხდომაზე დამტკიცებული 2022 წლის ბიუჯეტით, რომელიც დაგეგმილი იყო რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლით, ისე ხარჯვით ნაწილში.

1. 2022 წლის იანვარში ცვლილება განხორციელდა ბიუჯეტში, რაც გამოწვეული იყო ბავშვთა რაოდენობის ცვლილებიდან გამომდინარე ვაუჩერული დაფინანსების გაზრდასთან დაკავშირებით და 2021 წლის 30 დეკემბრის N106/ნ ბრძანების საფუძველზე, სქემით განსაზღვრული შესაბამისი (სერტიფიცირების) სტატუსის დანამატის გაზრდასთან დაკავშირებით, როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში.
2. 2022 წლის დეკემბერში განხორციელდა ცვლილება და დაზუსტდა 2022 წლის 8 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს (ოქმი N8) სხდომაზე.

2022 წლის შემოსავალმა ამ პერიოდზე შეადგინა 858 507ლ14თ.

კერძოდ:

შემოსავალი	დაფინანსების წყარო	მიზნობრივი დანიშნულება
14 981ლ74თ	01.01.2022 წლის ნაშთი	სკოლის ფინანსური უზრუნველყოფა
436 256ლ62თ	2022 წლის ვაუჩერული დაფინანსება	სკოლის ფინანსური უზრუნველყოფა
317 501ლ66თ	სქემით განსაზღვრული სტატუსის მქონე მასწავლებელთა სერტიფიცირების დანამატი	სკოლის ფინანსური უზრუნველყოფა
21 930ლ20თ	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დაფინანსება	სკოლის ფინანსური უზრუნველყოფა, სსსმ მოსწავლის ხელშეწყობისთვის
7 107ლ42თ	სკოლის სამედიცინო კაბინეტში დასაქმებული პირის პროგრამული დაფინანსება	სკოლის ფინანსური უზრუნველყოფა
19 985ლ00თ	ქვეპროგრამის COVID-19 პანდემიის პირობებში საჯარო სკოლების მხარდაჭერის ფარგლებში მასწავლებლის დანამატი	სკოლის ფინანსური უზრუნველყოფა
38 257ლ81თ	სსიპ საგანმანათლებლო სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოსაწესრიგებლად
2 844ლ43თ	ბანკის საპროცენტო სარგებელი	სკოლის ფინანსური უზრუნველყოფა

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2 351ლ00თ	სხვა შემოსავალი	ფეხბურთის წრის მომსახურება
12 273ლ00თ	აუქციონის წესით, გაიჯარებული სპორტული დარბაზისა და კვების ბლოკის(ბუფეტი) საიჯარო შემოსავლები	სკოლის ფინანსური უზრუნველყოფა/ განვითარებისთვის

საანგარიშო პერიოდში საოპერაციო ხარჯებმა შეადგინა **873 013ლ30თ.**

კერძოდ:

გასავალი	დაფინანსების წყარო	ფინანსური ოპერაციის შინაარსი
692 925ლ45თ	ვაუჩერული დაფინანსება, სერტიფიცირების დანამატი	შრომის ანაზღაურების ხარჯები
19 985ლ00თ	ქვეპროგრამის COVID-19 პანდემიის პირობებში საჯარო სკოლების მხარდაჭერის ფარგლებში მასწავლებლის დანამატი	შრომის ანაზღაურების ხარჯები
18 169ლ15თ	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დაფინანსება	სპეციალური მასწავლებლის, ფსიქოლოგის და ენის მეტყველების სპეციალისტის შრომის ანაზღაურების ხარჯი
3 361ლ70თ	სკოლის სამედიცინო კაბინეტში დასაქმებული პირის პროგრამული დაფინანსება	სკოლის ექიმის შრომის ანაზღაურების ხარჯი
36 316ლ24თ	ვაუჩერული დაფინანსება	შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება
1 687ლ50თ	სხვა შემოსავლები	შტატგარეშე(ფეხბურთის წრის) მასწავლებლის შრომის ანაზღაურების ხარი
4 935ლ00თ	ვაუჩერული დაფინანსება	პრემია სასწავლო პროცესის განახლებისათ-ვის მოსამზადებელ პერიოდში სკოლაში დიდი მოცულობის სამუშაოს განსაკუთრებული ძალისხმევითა და მაღალი პასუხისმგებლობით შესრულებისათვის
2 903ლ78თ	ვაუჩერული დაფინანსება	დროებითი შრომისუუნარობის გამო გაწეული დახმარების ოდენობა
1 271ლ59თ	ვაუჩერული დაფინანსება	საპენსიო სააგენტოში დამსაქმებელიდან გადარიცხული თანხების (საპენსიო სქემაში ჩართული თანამშრომლებზე) ხარჯი
1 500ლ00თ	სხვა შემოსავლები	შემძენილი ლაზერული პრინტერი
2 200ლ00თ	სხვა შემოსავლები	შემძენილი ვერტიკალური ფარდა-ჟალუზები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

274ლ84თ	ვაუჩერული დაფინანსება	შეძენილი საბიბლიოთეკო (მხატვრული ლიტ.)წიგნები
1 177ლ50თ	ვაუჩერული დაფინანსება	შეძენილი საბეჭდი ქალაქის და მოსწავლეთა კ/საქმის ფორმების შეძენის ხარჯები
300ლ00თ	ვაუჩერული დაფინანსება	ტრენინგის მომსახურების ხარჯი
231ლ00თ	ვაუჩერული დაფინანსება	სკოლის ჰოსტინგის მომსახურებების ხარჯი
30ლ00თ	ვაუჩერული დაფინანსება	სკოლის დომენური სახელის რეგისტრაციის ხარჯი
200ლ00თ	ვაუჩერული დაფინანსება	შეძენილი სკოლის აბრა
100ლ00თ	ვაუჩერული დაფინანსება	შეძენილი ბურთების ხარჯი
2 036ლ60თ	ვაუჩერული დაფინანსება	რეცხვის, ქიმიკალების და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯები
330ლ00თ	ვაუჩერული დაფინანსება	ცეცხლმაქრების დამუხტვის ხარჯები
1 000ლ00თ	ვაუჩერული დაფინანსება	ქსეროქსის აპარატების და პრინტერის კარტრიჯების შეძენა-დამუხტვა, დოლის შეცვლა, პრინტერის გაწმენდა-შეკეთება(ქალაქის მექანიზმის გორგოლაჭების შეცვლა, თერმოფირის შეცვლა და პრინტერის ღუმელის შეკეთება-აღდგენა)
605ლ00თ	ვაუჩერული დაფინანსება	პლაზმური ტელევიზორების დამონტაჟების ხარჯები
150ლ00თ	ვაუჩერული დაფინანსება	მეტალო პლასმასის ფანჯრის აღდგენასთან დაკავშირებული ხარჯები
1 236ლ00თ	ვაუჩერული დაფინანსება	ვიდეო-სამეთვალთვალო სისტემის შეძენისა და სკოლის შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟების ხარჯები
1 370ლ00თ	ვაუჩერული დაფინანსება	გამაგრილებელი(კონდიციონერების)მოწყობილობების შეკეთება-დამონტაჟების ხარჯები
2 333ლ14თ	სხვა შემოსავლები	ინტერნეტ ქსელის(ვაიფაის)ინფრასტრუქტურის მონტაჟის ხარჯები
1 913ლ00თ	სხვა შემოსავლები	საკლასო ოთახებში პროექტორების და HDMკაბელის მონტაჟის ხარჯები
37 865ლ12თ	სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	სკოლის შენობაში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის სამონტაჟო სამუშაოების ხარჯები
1 327ლ92თ	ვაუჩერული დაფინანსება	სკოლის შენობაში სახანძრო სიგნალიზაციის სისტემის შესრულებული სამუშაოების შემოწმების ხარჯები
567ლ97თ	ვაუჩერული დაფინანსება	სახანძრო უსაფრთხოების სისტემის საექსპერტო დასკვნის მომსახურების ხარჯები
610ლ01თ	ვაუჩერული დაფინანსება	შპს „სილქნეთის“ ქსელით მომსახურების ხარჯი
41ლ72თ	ვაუჩერული დაფინანსება	შპს„ახალი ქსელები“ს მომსახურების ხარჯები
322ლ30თ	ვაუჩერული დაფინანსება	საფოსტო/საკურიერო მომსახურება
4 511ლ26თ	ვაუჩერული დაფინანსება, სხვა შემოსავლები	მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი
2 592ლ96თ	ვაუჩერული დაფინანსება, სხვა შემოსავლები	სასმელი წყლის გადასახადი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

17 940ლ55თ	ვაუჩერული დაფინანსება, სხვა შემოსავლები	მოხმარებული ბუნებრივი (გაზი)აირის გადასახადი
790ლ02თ	ვაუჩერული დაფინანსება	დასუფთავების მოსაკრებელი
358ლ98თ	ვაუჩერული დაფინანსება	ჩამოწერილი მცირეფასიანი აქტივების გატანა და შესაბამის პოლიგონზე განადგურება-გაუვნებელყოფის მომსახურების ხარჯები
120ლ00თ	სხვა შემოსავლები	კანალიზაციის გაწმენდითი სამუშაოების მომსახურების ხარჯი
150ლ00თ	ვაუჩერული დაფინანსება	შენობის დეზინსექცია-დეზინფექციის მომსახურებების ხარჯები
210ლ77თ	ვაუჩერული დაფინანსება	ბანკის მომსახურებების ხარჯები
400ლ00თ	ვაუჩერული დაფინანსება	შესყიდვებთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი
300ლ00თ	ვაუჩერული დაფინანსება	აუდიტორული (გასაიჯარებელი ფართების ) მომსახურებების ხარჯები
198ლ00თ	ვაუჩერული დაფინანსება	საინფორმაციო სფეროში მომსახურების ხარჯი (შპს „ეტალონი განათლება“)
540ლ00თ	სხვა შემოსავლები	2019 წელს გაიჯარებული ბუფეტის საგარანტიო თანხიდან სხვაობის დაბრუნება მოიჯარეს, [REDACTED]
538ლ00თ	სხვა შემოსავლები	გაიჯარებული სპორტული დარბაზის საგარანტიო თანხიდან სხვაობის დაბრუნება მოიჯარეს, [REDACTED]
150ლ00თ	სხვა შემოსავლები	აუქციონის გამოცხადების ხარჯი
50ლ00თ	სხვა შემოსავლები	ტენდერის გამოცხადების ხარჯი
3 745ლ71თ	სკოლის სამედიცინო კაბინეტში დასაქმებული პირის პროგრამული დაფინანსება	დაბრუნებულია ხაზინაში სკოლის ექიმის ხელფასებიდან აუთვისებელი თანხები
720ლ03თ	მასწავლებლის სერტიფიცირების დანამატი	დაბრუნებულია ხაზინაში მასწავლებლების სერტიფიცირების დანამატიდან აუთვისებელი თანხა [REDACTED]
26ლ80თ	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის დაფინანსება	დაბრუნებულია ხაზინაში სპეც.მასწავლებლის დანამატიდან დაგროვებითი პენსიის 2%-ის აუთვისებელი თანხა
392ლ69თ	სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	დაბრუნებულია ხაზინაში სკოლის შენობაში სახანძრო უსაფრთხოების სისტემის სამონტაჟო სამუშაოებისთვის ჩამორიცხული თანხიდან აუთვისებელი თანხა

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სკოლას ანგარიშსწორების ანგარიშზე ერიცხება 475,58ლარი.